N286-4/16

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება
N 01-042801

შესყიდვა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 9 მარტის N865 ბრძანების საფუძველზე (SMP160000829)

დაფინანსების წყარო: საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი (საქართველოს მთავრობის განკარგულება № 544 2016 წლის 31 მარტი).

28 აპრილი **2016 წ.**

ქ. თბილისი

ერთის მხრივ **სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“** (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი უფროსის თამარ ბაგრატიას სახით და მეორეს მხრივ **სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ (ს/კ 205169066) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მიხეილ ბოცვაძის სახით** (შემდგომში ,,მიმწოდებელი”), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) - სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“.

1.4 „მიმწოდებელი“ - სს „ენერგო-პრო ჯორჯია“.

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველისათვის მდ. ამალი-დევდორაკის ხეობაში **მოსალოდნელი სტიქიურ, ჰიდრომეტეოროლოგიურ და გეოლოგიურ მოვლენებზე წინასწარი შეტყობინების ავტომატური სისტემის მოწყობისათვის საჭირო გარე ელექტრომარაგების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის** მომსახურების შესყიდვა. **(CPV - 71320000 - საინჟინრო-საპროექტო მომსახურება).**

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ტექნიკური დავალება მოცემულია დანართი N1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3 ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **4605.11 (ოთხი ათას ექვსასხუთი ლარი და თერთმეტი თეთრი)** ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, დღგ-ს ჩათვლით.

4 ანგარიშსწორების წესი

4.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.

4.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.

4.3 დაფინანსების წყარო: საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი (საქართველოს მთავრობის განკარგულება № 544 2016 წლის 31 მარტი).

4.4 ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული მომსახურების მიხედვით მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე და სხვა დოკუმენტაციის (საგადასახადო ანგარიშფაქტურა) წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

4.5 შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას ჩაუტაროს ექსპერტიზა საკუთარი სახსრებით. ექსპერტიზის ჩატარების შემთხვევაში მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ნაცვლად წინამდებარე ხელშეკრულების 4.4 პუნქტით გათვალისწინებული წესისა, განხორციელდება ექსპერტიზის დადებითი დასკვნის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

5 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს მიწოდებული მომსახურების კონტროლი, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

5.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია დაესწროს ინსპექტირების პროცესს.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებით.

5.4 ინსპექტირებას „შემსყიდველის" მხრიდან განახორციელებს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტის თანამშრომელი.

6 მომსახურების გაწევის პირობები

6.1 მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

6.2 მომსახურების გაწევა განხორციელდება მიმწოდებლის ფაქტობრივ მისამართზე: ქ. თბილისი, სანდრო ეულის ქ. № 1.

6.3 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს უნაკლო მომსახურება წინამდებარე ხელშეკრულების დანართი № 1-ის შესაბამისად.

6.4 შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას ჩაუტაროს ექსპერტიზა საკუთარი სახსრებით. ექსპერტიზის ჩატარების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ უზრუნველყოს ექსპერტიზის შენიშვნების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გასწორება საკუთარი სახსრებით.

7 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით შემსყიდველის მხრიდან მიღება ჩაბარების აქტებზე ხელმოწერას და მომსახურების მიღების დადასტურებას განახორციელებს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტის უფროსი, მიმწოდებლის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელს აწერს მისი განვითარების მენეჯერი.

8 პასუხისმგებლობა

8.1 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი არ შეასრულებს 2.1. პუნქტით გათვალისწინებულ ვალდებულებას წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ან გადააცილებს 6.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადას, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

8.2 4.4. ან 4.5. პუნქტით გათვალისწინებული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

8.3 იმ შემთხვევაში, თუ 8.1. პუნქტის შესაბამისად დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 15 ივნისის ჩათვლით.

10 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

11 ხელშეკრულების შეწყვეტა

შემსყიდველს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა რომელიმე ვალდებულება დაკავშირებული მისაწოდებელი საქონლის ხარისხთან და ა.შ.

გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

ე) მხარეთა წერილობითი შეთანხმების შემთხვევაში;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12 ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, 3 დღის განმავლობაში უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13 სადაო საკითხების გადაწყვეტა

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14 უფლებების გადაცემა

მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

15 ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

16 შეტყობინების განხორციელება

ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

17 გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

18 დამატებითი პირობები

18.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

18.2 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

შემსყიდველი:

სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“
მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №150.
საიდენტიფიკაციო კოდი: 204559691
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TRESGE22
ტელ: 243 95 45
Email: zaza_dvaladze@gmail.com

თამარ ბაგრატია
სააგენტოს უფროსი

მიმწოდებელი:

სს „ენერგო - პრო ჯორჯია“
ს/კ 205169066
იურ.მის: ქ.თბილისის, ვაკე-საბურთალ
რაიონი, სანდრო ეულის ქ., №1.
ფაქ. მის: ქ. თბილისი, სანდრო ეულის
ქ., №1.
ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“
კოდი: BAGAGE22
ა/ა GE40BG0000000152516100

~~მიხეილ ბოცვაძე~~
გენერალური დირექტორი

2016 წლის 28 აპრილის N01-042801 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დანართი N1

ტექნიკური დავალება

- მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მდინარე ამალი-დევდორაკის ხეობაში მოსალოდნელი სტიქიურ, ჰიდრომეტეოროლოგიურ და გეოლოგიურ მოვლენებზე წინასწარი შეტყობინების ავტომატური სისტემის მოწყობისათვის საჭირო გარე ელექტრომარაგების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.
- საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა მომზადდეს სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" მიერ 2016 წლის 28 აპრილს N2567499 წერილით გაცემული გამანაწილებელ ქსელზე მიერთების ტექნიკური პირობების შესაბამისად.
- პროექტში განხილული უნდა იყოს 10 კვ და 0,4 კვ ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა, ელექტრული დატვირთვების და სადენის კვეთის ანგარიში, საყრდენების დამიწება და სხვა. შერჩეული უნდა იყოს ელექტროტექნიკური მოწყობილობები შესაბამისი სტანდარტებისა და ტექნიკური ნორმატივების მიხედვით, კლიმატური პირობების გათვალისწინებით.
- მიმდებარე ქსელი უნდა შემოწმდეს მოკლე შერთვისა და დატვირთვის დენებზე. საჭიროების შემთხვევაში უნდა გადაისინჯოს სარელეო დაცვის მოწყობის პრინციპები და მოხდეს დანაყენების ანგარიში.
- პროექტში განხილული უნდა იყოს 10/0.22 კვ ძაბვის მოთხოვნილი სიმძლავრის შესაბამისი სატრანსფორმატორო ქვესადგურების მოწყობა შემდეგი წერტილების მიმდებარედ:
  1. 42°43'22.98.00"N, 44°37'35.61"E - ტბები - მოთხოვნილი სიმძლავრე - 3 კილოვატი;
  2. 42°43'28.02.00"N, 44°36'08.00"E - სასაზღვრო პოლიციის პოსტი გველეთი, მოთხოვნილი სიმძლავრე - 10 კილოვატი.
- გათვალისწინებული უნდა იყოს სატრანსფორმატორო ქვესადგურის დამიწების კონტურის, ელექტროენერგიის საანგარისწორებო აღრიცხვის კვანძების მოწყობა.
- ხილული გათიშვისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს ამძრავებიანი გამთიშველის მონტაჟი, ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს გადამეტძაბვისაგან დაცვა.
- პროექტში ასახული უნდა იყოს 0,4 კვ ქსელის ანგარიში. ჩატარებული უნდა იყოს ძაბვის დანაკარგების ანგარიში, რის მიხედვითაც შეირჩევა თვითმზიდი (ან სხვა ტიპის) იზოლირებული სადენი (კაბელი).
- მიმწოდებლის მიერ შემუშავებული კონსტრუქციული, საინჟინრო და სხვა ტიპის გადაწყვეტები ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ გათვალისწინებული და შესაბამისობაში იყოს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან. უზრუნველყოფილი იყოს ნახაზებსა და სპეციფიკაციებს შორის თავსებადობა, მასალათა ნუსხის შესაბამისობა სპეციფიკაციებთან და ნახაზებთან.
- მიმწოდებელმა პროექტის შესრულებისას უნდა გაატაროს ოპტიმიზაციის ღონისძიებები და ხარჯების/ღირებულების კვლევა. ეს ღონისძიებები მოიცავენ ალტერნატიული მასალების და გადაწყვეტების გამოკვლევას/შესწავლას.

საპროექტო დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს:

1. განმარტებით ბარათს;
2. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას ცალ-ცალკე, რომლებიც უნდა იყოს წარდგენილი ალბომებისა (4 ეგზემპლარი) და ელექტრონული ვერსიის (1 ეგზემპლარი) სახით, სრულ პაკეტს PDF ფორმატში (ხარჯთაღრიცხვა, ნახაზები).

პროექტი შეთანხმებული და დამოწმებული უნდა იყოს სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" შესაბამის სამსახურებთან.

შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას ჩაუტაროს ექსპერტიზა საკუთარი სახსრებით. ექსპერტიზის ჩატარების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ უზრუნველყოს ექსპერტიზის შენიშვნების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გასწორება საკუთარი სახსრებით.

შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის დროს მონიტორინგის წარმოება და საპროექტო დოკუმენტაციაში ცვლილებების შეტანა (საჭიროების შემთხვევაში).

შემსყიდველი: **სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო"**	**მიმწოდებელი:** **სს „ენერგო-პრო ჯორჯია"**
თამარ ბაგრატია **სააგენტოს უფროსი**	**მიხეილ ზოცვაძე** **გენერალური დირექტორი**

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

28 აპრილი 2016 წ

ქ. თბილისი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსა და სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს შორის 2016 წლის 28 აპრილის N01-042801 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნებს.

_____ თამარ ბაგრატია

_____ რამაზ ჭითანავა

_____ დათო ქოჩიაშვილი